GLC საქართველოს ლატარიის კომპანია
Georgian Lottery Company

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა
(CPV კოდი: 79823000-ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი, 2015 წ.

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია 3

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 4

3. დანართი №1..... 6

4. დანართი №2..... 7

5. დანართი №3..... 8

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტი:

1.1. პრეტენდენტმა საკუთარი მასალით უნდა უზრუნველყოს ბეჭდვითი მომსახურების გაწევა, სატენდერო დოკუმენტაციის #2 და #3 დანართებში მითითებული შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, რაოდენობისა და ზომების შესაბამისად. (საბეჭდი ფაილი გადაეცემა გამარჯვებულს).

2. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი:

2.1. მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღე.
2.2. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2.
2.3. ლოტოს შესარჩევი ბარათები (დანართი 2)

#	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები და ზომები	რაოდენობა (ცალი)	ერთ. ფასი	მთლიანი ფასი	მიწოდების ვადა და ადგილი	ანგარიშსწორების ვადა
1	ლოტოს შერჩევის ბარათი	ზომა 82 მმ *182 მმ ორმხრივი ბეჭდვა CMIK 3+1 ქაღალდი 120 გრ. ოფსეტი	2 000 000			ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში	მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1 სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა ოყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარი.
3.2 სატენდერო წინადადების ფასი მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მომწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, გარდა დამატებითი ღირებულების გადასახადისა.
3.3 პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს. მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შერჩევა-შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასის მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვაილისწინებს სატენდერო წინანადების ფასის შესაბამის დღგ-ს ოდენობას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. დღგ-ს გადამხდელობის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი.
3.4 ანგარიშსწორება მოხდება, გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად უნაღდო ანგარისწორებით ლარში.
3.5 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
3.6 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

4. ფასთა ადეკვქტურობა:

4.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული იქნება საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი ფასი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.
4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე.

5. დამატებითი მოთხოვნები:

5.1 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.
5.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
5.3 სატენდერო წინადადების ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

6. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

6.1 ფასთა ცხრილი დანართი №1–ის მიხედვით .
6.2 რეკვიზიტები დანართი №2–ის მიხედვით .

7. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

საკონტაქტო პირი	მობ./ტელ.	ელ.ფოსტა
მაია კუჭაშვილი	577 629149	m.kuchashvili@georgianlottery.com

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციედლება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი ---- მარტი 2015 წ.

შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია ” (შემდგომში - შემსყიდველი), მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, ერთის მხრივ და შპს „----------“ (შემდგომში - მიმწოდებელი) მისი დირექტორის ---------- სახით, მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA---------- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV79823000) შესყიდვა, სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი დანართის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საქართველოს ლატარიის კომპანიის თანამშრომელი ჯაბა მერებაშვილი.

მუხლი 4. მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიწოდების ადგილია: ვაგზლის მოედანი №2
4.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.
5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით.
6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის

შესახებ.

9.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივად მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის --- ----------.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია“	შპს ,,----------„
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #34	მის: ----------
ს/კ 204568208	ს/კ ----------
ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი“	ბანკი: სს ,,----------“
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: ----------
ა/ა GE28LB0113121375356003	ა/ა ----------
---	---
გენერალური დირექტორი	დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე	---

დანართი #1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

დანართი #2

ფასთა ცხრილი

#	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები და ზომები	რაოდენობა (ცალი)	ერთ. ფასი	მთლიანი ფასი	მიწოდების ვადა და ადგილი	ანგარიშს წორების ვადა
1	ლოტოს შერჩევის ბარათი	ზომა 82 მმ *182 მმ ორმხრივი ბეჭდვა CMIK 3+1 ქაღალდი 120 გრ. ოფსეტი	2 000 000			ვაგზლის მოედანი 2	მიწოდე ბიდან 10 დღე

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

შემსყიდველი:

შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #34
ს/კ 204568208
ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

შპს ,,----------„
მის: ----------
ს/კ ----------
ბანკი: სს ----------
ბანკის კოდი: ----------
ა/ა ----------

დირექტორი



სტანდარტი

CMOM

აირჩიეთ 6 რიცხვი 36-დან და მონიშნეთ შესაბამისი რიცხვის ქვეშ მითითებული უჯრა.

მონიშვნის ნიმუში

შერჩევა 1	1	2	3	4	5	6	7	8	9
	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
	20	21	22	23	24	25	26	27	28	29
	30	31	32	33	34	35	36			
შერჩევა 2	1	2	3	4	5	6	7	8	9
	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
	20	21	22	23	24	25	26	27	28	29
	30	31	32	33	34	35	36			
შერჩევა 3	1	2	3	4	5	6	7	8	9
	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
	20	21	22	23	24	25	26	27	28	29
	30	31	32	33	34	35	36			
შერჩევა 4	1	2	3	4	5	6	7	8	9
	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
	20	21	22	23	24	25	26	27	28	29
	30	31	32	33	34	35	36			
შერჩევა 5	1	2	3	4	5	6	7	8	9
	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
	20	21	22	23	24	25	26	27	28	29
	30	31	32	33	34	35	36			

მიუთითეთ რამდენ გათამაშებაში გსურთ მონაწილეობის მიღება. 2 4 6 8 10

მონიშნეთ ავტომატური შერჩევის რაოდენობა. 1 2 3 4 5

ყოველი არჩეული 6-რიცხვიანი კომბინაციის ღირებულებაა 2 ლარი

GLC საქართველოს ლატარიის კომპანია Georgian Lottery Company

Tel: 2 649 649

www.georgianlottery.com